# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**Building Back Better Through Social Entrepreneurship**

**განხორციელების ვადა:** 01.08.2023 - 31.07.2025

**EaP ქვეყნები:**
მოლდოვა, საქართველოს, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 778 773

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 878 974

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Junior Achievement Europe, Stichting We Share Forward, Lietuvos Junior Achievement, Asociatia Obsteasca Junior Achievement Moldova, Junior

**პროექტის აღწერა:**
პროექტი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას რესპუბლიკის ახალგაზრდებს მდგრადი სოციალური საწარმოების შესაქმნელად საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურავს. გარდა ამისა, მონაწილეები გაიუმჯობესებენ დასაქმების შესაძლებლობებს  და მრავალმხრივ განავითარებენ სამეწარმეო კომპეტენციებს, მათ შორის კრეატიულობას, შეუპოვრობას, გუნდურ მუშაობას და სირთულეების მარტივი გზებით დაძლევის უნარს. პროექტი ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოებისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის განვითარებას. ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა დაარსონ ანდა შეუერთდნენ სოციალურ საწარმოებს და გახდნენ პროაქტიული ცვლილებების შემქმნელები, რომლებიც თავს უყრიან, მობილიზებას ახდენენ და შთააგონებენ თანატოლებს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე. თითოეულ სოციალურ საწარმოს მენტორობას ბიზნეს მოხალისეები ანდა სოციალური მეწარმეები გაუწევენ, ხოლო ყველაზე პერსპექტიული საწარმოები მიიღებენ შემდგომ მხარდაჭერას, საწყის დაფინანსებას, ხილვადობას, კავშირებს,  განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობებს.

**მოსალოდნელი შედეგები:**
პროექტის პირდაპირი შედეგები:

1. მომზადებული მაღალი დონის სოციალური მეწარმეობის სასწავლო პროგრამა, რომელიც კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკაციების გათვალისწინებით ადაპტირებულია ეროვნულ გარემოზე (ინსტრუმენტები, მეთოდები, გზამკვლევები, აქტივობები) და განკუთვნილია ახალგაზრდების და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სოციალური მეწარმოების ციფრული ტრენინგ პროგრამა და მარკეტინგის ნაკრები, ხელმისაწვდომი იქნება განმანათლებლებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის. ჯამობრივად პროგრამაში 2100 ახალგაზრდა ჩაერთვება და შეიქმნება 45 სოციალური საწარმო.

2. ახალგაზრდა სოციალური მეწარმეების, მეწარმეული აზროვნება და უნარები გაიზომება ონლაინ თვითშეფასების ინსტრუმენტით (ESP).

3. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც განავითარებენ სოციალურ საწარმოებს პროგრამის ბოლოს, განხორციელდება პრე-აქსელერატორის პროგრამა შემდგომი ზრუნვისთვის. პრე-აქსელერატორის პროგრამის ფარგლებში მოხდება, როგორც არაფინანსური (ტექნიკური დახმარება, ინკუბაცია, შესაძლებლობების გაძლიერება) მხარდაჭერა, ისე პოტენციური ხელმისაწვდომობა შემდგომ დაფინანსებაზე და შედეგიან ინვეტიციებზე.